ადრესატი:

ნინო ძიძიგური
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს აპარატი-პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)

წერილის ნომერი:**31-31233548**
თარიღი: **20/12/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,
ნიგვზიანისა და ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეულების
მაჟორიტარი დეპუტატის ბესიკ ტაბიძის 2023 წელს
გაწეული საქმიანობისა და
მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 19. 12. 2023 წელი 12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნიგვზიანის და ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ბესიკ ტაბიძე, მერის წარმომადგენელი ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ირაკლი გუჯაბიძე, მერის წარმომადგენელი ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში გოჩა დარჩია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ნანა წილოსანი და სოფელ ნიგვზიანისა და ნინოშვილის ადგილობრივი მაცხოვრებლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ნიგვზიანის და ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბესიკ ტაბიძემ მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას და მის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. მისი თქმით, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში ნოემბრის თვეში უნდა ყოფილიყო, მაგრამ სტიქიის გამო მოსახლეობასთან შეხვედრა ვერ შედგა. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის სტიქიამ ძლიერ დააზარალა მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. კერძოდ: ნიგვზიანსა და ნინოშვილში დაახლოებით 50-მდე ოჯახი განსახლებაში იმყოფება და ის ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა ალტერნატიული ფართი სახელმწიფოდან დახმარების სახით ერთჯერადად 50 ათას ლარს მიიღებს.

მაჟორიტარმა დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ ისაუბრა ბუნებრივი აირის საკითხზე. მისი თქმით, ბევრს ეგონა რომ ეს უტოპია იყო, მაგრამ უკვე დაწყებულია გაზიფიცირების სამუშაოები და ძალიან მალე ბუნებრივი აირი ნიგვზიანის ადმინისტრაციის ყველა

სოფელში იქნება. პრობლემად ისევ რჩება სასმელი წყალი და ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ეს საკითხიც დროულად გადაწყდეს. ასევე, ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ სოფელ ხაჯალიაზე თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საბავშვო ბაღი აშენდა, რომელიც 100 პატარაზეა გათვლილი. ახალი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაწყებულია ნიგვზიანის თემშიც, რომელიც გათვლილია 75 ბავშვზე. 2024 წლიდან თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ახალი საექიმო უბანი გაკეთდება ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში.

მაჟორიტარმა დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ ნიგვზიანის ბაღის მიმდებარე ტერიტორია იყო დაჭაობებული, რომლის მოსაწესრიგებლად 300 მანქანა მიწის შეტანა გახდა საჭირო. მისი თქმით, ტერიტორია შეიღობება კაპიტალურად, ბაღს ორივე მხრიდან გაუკეთდება შესასვლელი კარები, ასევე იერსახისთვის ორი გადასასვლელი ხიდი, მოეწყობა გარე განათება, მოსასვენებელი სკამები და დაირგვება ნიგვზები.

დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში გზები გამოსულია მწყობრიდან, სტიქიის შედეგად წაღებულია ხიდები. მისი განმარტებით, ამ ეტაპზე გაკეთდება სამი ხიდი, რომლის ხარჯი დაახლოებით 400 ათასი ლარია. გასაკეთებელი რჩება კიდევ 15 ხიდი. მანვე აღნიშნა, რომ 2024 წელს ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში თანამდეროვე სტანდარტებით აღჭურვილი სტადიონი გაკეთდება (35მეტრი სიგრძე, 18 მეტრი სიგანე), რომლის ღირებულება დაახლოებით 125 ათასი ლარია. ანალოგიური სტადიონის მშენებლობა იგეგმება არჩეულში ე.წ. ,,კანტორის“ გვერდით, ხოლო რაც შეეხება არჩეულის სკოლის საკითხს, როცა დაიდება გეოლოგების დასკვა სკოლის შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით, მხოლოდ ამის შემდგომ მოხდება მისი რეაბილიტაცია. ასევე, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება ხაჯალიის საჯარო სკოლას. მაჟორიტარმა დეპუტატმა მოსახლეობას ნიგვზიანის საჯარო სკოლის ავტორიზაცია მიულოცა.

ასევე, 2024 წლიდან დაიწყება ჩანჩეთი-ჩოჩხათის შემაერთებელი გზის გაკეთება, თავისი ბეტონის კვლებით. იგეგმება ლამაზი სკვერის მოწყობა სოფელ ჯუმათში.

დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ ასევე აღნიშნა, რომ ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყო გარე განათება, დაიგო გზა ,,ყელას გადასასვლელთან“. დაწყებულია ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც 50 ბავშვზეა გათვლილი. იგეგმება ახალი საექიმო უბნის გაკეთება. მისივე თქმით, 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სტადიონის საკითხი, რომლის სიგრძე 40 მეტრი, ხოლო სიგანე 25 მეტრია.

დეპუტატმა ასევე ისაუბრა სახლმუზეუმის შესახებ განხორციელებულ და განსახორციელებელ ღონისძიებებზე. მან აღნიშნა, რომ არ არსებობდა მუზეუმთან მისასვლელი გზა, ასევე არ იყო განათება. მაჟორიტარი დეპუტატის ძალისხმევით გაკეთდა ახალი შენობა, ეზოში მოეწყო ,,ბუნგალო“ და მოწესრიგდა განათების საკითხი. მისი თქმით, მოხდება მიმდინარე წლის სტიქიის შედეგად დაზიანებული ღობის აღდგენა და მოეწყობა 100 მეტრი გაბიონი.

დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ, მის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მიმართა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემის შესახებ.

შეხვედრაზე მოსახლეობის მხრიდან დაისვა პრობლემური საკითხები:

-შაქრო ხოზრევანიძემ აღნიშნა, რომ ,,ბებეთის უბანში“ მოსაწესრიგებელია გარე განათების საკითხი.

-მარინე ჩხარტიშვილმა და ალჟირა ჟვანიამ აღნიშნეს, რომ ნიგვზიანში პრობლემას წარმოადგენს სასმელი წყალი.

-ჯიმშერ აბაშიძემ აღნიშნა, რომ სოფ. ხაჯალიაზე არის გზის პრობლემა. ასევე, ხაჯალიაზე სარკინიგზო გადასასვლელის მიმდებარე ტერიტორიაზე აუცილებელია 100 მეტრი სანიაღვრე არხის მოწყობა. საჭიროებას წარმოადგენს ასევე განათების სამი ბოძი.

-ბესიკ თავაძემ აღნიშნა, რომ ხაჯალიის სასაფლაო საჭიროებს შემოღობვას. ასევე, ხაჯალიის სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე აუცილებელია მოსაცდელის გაკეთება.

-რევაზ ტუღუშმა აღნიშნა, რომ სახლ-მუზეუმიდან ,,მამია მოისწრაფიშვილის“ ეზომდე საჭიროა განათების მოწესრიგება.

-ამირან აფხაზავამ და ლიკა გასიტაშვილმა აღნიშნეს, რომ მათ საცხოვრებელ სახლთან აუცილებელია მისასვლელი გზის მოწესრიგება. პრობლემას წარმოადგენს ასევე სასმელი წყალი.

-მარინა ტუღუშმა აღნიშნა, რომ წიაღობანში მოსაწესრიგებელია გარე განათების საკითხი (გადამწვარია ნათურები).

-ომარ ხოზრევანიძემ აღნიშნა, რომ ხაჯალიაზე აუცილებელია გაბიონის მოწყობა.

-ავთო მჟავიას სახლთან საჭიროა დაიდგას ორი ცალი ნაგვის ურნა.

-მოსახლეობის თქმით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოწესრიგება.

ადგილობრივმა მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა ბესიკ ტაბიძეს აქტიურობისა და თანადგომისთვის, მისი ძალისხმევით და მხარდაჭერით განხორციელებული სამუშაოებისთვის.

დასასრულს საკრებულოს თავმჯდომარემ, ორი ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ როგორც საკრებულოს წევრი, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი და თანამდებობის პირი, ყველა ღონეს იხმარს, ბიუროსა და თითოეული საკრებულოს წევრთან ერთად, მუნიციპალიტეტის მერთან, სხვა აღმასრულებელ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთთანამშრომლობით, ერთობლივი ძალისხმევით, მისი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში გადაწყდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც აწუხებს ნიგვზიანის და ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეულების და მთლიანად მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

პატივისცემით,

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე